ქ. ქუთაისის N9 საჯარო სკოლის (საკადასტრო კოდი N03.03.27.102) რეაბილიტაცია

დანართი №2

თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ტექნიკური დავალებაზე

ტექნიკური დავალება

სამუშაოების შესრულებისას გამოყენებული მასალები უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის. სამუშაოების შესრულებისას დასაქმებული ყველა ძირითადი სპეციალისტი უნდა იყოს მაღალი კვალიფიკაციის და გააჩნდეს შესაბამისი სპეციფიკით მუშაობის გამოცდილება. სამუშაოების შესასრულებლად გათვალისწინებული უნდა სამშენებლო სამუშაოების სფეციფიკა, ობიექტის გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობები.

მიმწოდებელს დეტალურად უნდა ჰქონდეს შესწავლილი ადგილობრივი ბაზარი, ობიექტის მასალების შეუფერხებელი მომარაგების თვალსაზრისით, უნდა იცნობდეს ადგილობრივ სპეციფიკას, ითვალისწინებდეს როგორც გლობალურ, ასევე ლოკალურ საბაზრო კონიუნქტურას, ობიექტის გეოგრაფიულ მდებარეობას, ობიექტზე მისასვლელ გზებს, ბუნებრივ პირობებს.

შესასრულებელი სამუშაოთა დეტალური ჩამონათვალი განსაზღვრულია ტექნიკური დავალების დანართებით და სატენდერო დოკუმენტაციის დანართის №1 მიხედვით (ხარჯთაღრიცხვა).

შესასრულებელი სამშენებლო პროექტის შემადგენელი ნაწილები, სპეციფიკაციები და სხვა აუცილებელი ინფორმაცია, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან, მოცემულია ამ ტექნიკური დავალების დანართებში, რომლებიც ცალკე დოკუმენტის სახით ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

ტექნიკური დავალების დანართები:

- ტექნიკური დავალების დანართი N2.1. - პროექტი (ტექნიკური დავალების დანართი N2.1.1.-იდან ტექნიკური დავალების დანართი N2.1.4.-ის ჩათვლით)
- ტექნიკური დავალების დანართი N2.2. – ანოტაცია
- ტექნიკური დავალების დანართი N2.3. - დეტალური სპეციფიკაციები
- ტექნიკური დავალების დანართი N2.4. - ზოგადი სპეციფიკაციები

✓ ***<u>შენიშვნა:</u>*** *ტექნიკური დავალების დანართები წარმოადგენს წინამდებარე ტექნიკური დავალებისა და შესაბამისად სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილს, რომელიც შემდგომში განისაზღვრება ხელშეკრულების დანართის სახით.*

ვადასტურებთ, რომ გაცნობილი გვაქვს ტექნიკური დავალებითა და მისი ყველა დანართით გათვალისწინებული მოთხოვნები, ასევე სატენდერო დოკუმენტაციით და მისი დანართებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, შესაბამისად სამუშაოთა მიწოდებას ვუზრუნველყობთ მათი განუხრელი დაცვით.

იმ შემთვევაში, თუ პრეტენდენტი არის რეზიდენტი პირი, დანართი N2 (თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ტექნიკურ დავალებაზე) სავალდებულოდ დამოწმებული უნდა იყოს პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

იმ შემთვევაში, თუ პრეტენდენტი არ არის რეზიდენტი პირი, დანართი N2 (თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ტექნიკურ დავალებაზე) სავალდებულოდ დამოწმებული უნდა იყოს პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის ბეჭდით.